პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

1975 ხუთშაბათი 20 თებერვალი № 43 (16169) ფასი 2 კაპ. 1975

სოციალისტური შეჯიბრების დროშით

ყოველი სამუშაო დღე, საათი—დამკვრელური!

გამოვუშვათ მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით!

ხუთწლედის ეკონომიკური ეფექტურობისთვის

მაღლა ავწიოთ ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის, სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული დიდებული ამოცანების შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების დროშა!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

მაღალ საწარმოო მაჩვენებელთა მიღწევაში საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ბრიგადების პროგრესული გამოცდილების გავრცელებისა და 1975 წლის სოციალისტურ ვალდებულებათა შესახებ

რესპუბლიკის ქვანახშირის საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულების შესახებ, წარმატებით დაამთავრეს მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წელი.

პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის, „მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მიღწევაში, ქვანახშირის მრეწველობის ბრიგადებისა და უბნების პროგრესული გამოცდილების გავრცელებისა და მოწინავე კოლექტივების 1975 წლის სოციალისტურ ვალდებულებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პასუხად, ქალაქ ტყიბულის ლენინის სახელობისა და ორჯონიკიძის სახელობის, ქალაქ ტყვარჩელის სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის მოწინავე შახტების კოლექტივები ჩაებნენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდი საწარმოო მაჩვენებლების მიღწევისათვის, გადასინჯეს თავიანთი შესაძლებლობანი და 1975 წლისათვის იკისრეს უფრო მაღალი სოციალისტური ვალდებულებანი.

მეშახტეთა ბრიგადებმა, რომლებსაც მეთაურობენ ა. ლაფერაძე, ვ. მაისურაძე, ე. სვანიძე, გ. გუბელაშვილი, რ. დემურია, დ. სტეპანოვი ვალდებულება იკისრეს ახალი ტექნიკის დანერგვის, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის, ტექნოლოგიური და შრომის დისციპლინის დაცვის, ცვლებსშიდა მოცდენების შემცირების, ყველა არსებული რეზერვის გამოყენების გზით, ამასთან ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებთან მუდმივი შემოქმედებითი თანამეგობრობით სულ ცოტა 10 პროცენტით გაადიდონ შრომის ნაყოფიერება დაგეგმილთან შედარებით და უზრუნველყონ, რომ საწმენდ-სანგრევის თვითეულმა მუშამ დღეიმეში ამოიღოს ორ ტონაზე მეტი ზეგეგმითი ქვანახშირი.

მოწინავე კოლექტივებმა მოუწოდეს რესპუბლიკის ყველა მეშახტეს აქტიურად ჩაებან სოციალისტურ შეჯიბრებაში სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის ბრიგადებისა და უბნების პროგრესული გამოცდილების გავრცელებისათვის, მიაღწიონ თვითეული საწმენდი სანგრევიდან ქვანახშირის ამოღების მაქსიმალურ გადიდებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქვანახშირის მრეწველობის მოწინავე ბრიგადებისა და უბნების შეჯიბრებას თვითეული ლავიდან ქვანახშირის მოპოვების გადიდებისათვის და შახტებისა და უბნების პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების უპირველეს ამოცანად მიიჩნია აქტიური მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს ინიციატივის შემდგომ განვითარებას, მოწინავე გამოცდილების გავრცელებას, გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებათა მიღებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა საქართველოს ქვანახშირის კომბინატის მეშახტეთა მოწინავე ბრიგადების კოლექტივების ინიციატივა — გამალონ სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ საწმენდი სანგრევის თვითეულმა მუშამ დღე-ღამეში ამოიღოს ორ ტონაზე მეტი ზეგეგმითი ქვანახშირი ახალი ავრეგატების, მანქანებისა და მექანიზმების დანერგვისა და არსებული მანქანებისა და მექანიზმების უფრო ეფექტიანად გამოყენების გზით, და იკისრონ 1975 წლის გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები.

საქართველოს კომპარტიის ქუთაისის, ტყიბულისა და ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტებს, პარტიის ახალციხის რაიკომს, საქართველოს ქვანახშირის კომბინატს, საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ტერიტორიულ კომიტეტს, პირველადს პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს დაეალათ შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებები, რათა მასობრივად გავრცელდეს მეშახტეთა მოძრაობა თვითეული ლავიდან ქვანახშირის მოპოვების გადიდებისათვის, შეიქმნას საჭირო პირობები, რომ საწმენდი სანგრევის მუშებმა, გვირაბგამყვანებმა, მებიგეებმა, შიდასაშახტო ტრანსპორტის მუშებმა, ელექტროზეინკლებმა, სამთო მანქანების მემანქანეებმა, ბრიგადების, უბნებისა და შახტების კოლექტივებმა შეასრულონ ახალი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებს დაეალათ ფართოდ გაამუქონ ბრიგადების, უბნებისა და შახტების კოლექტივების ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ქვანახშირის მოპოვების განუწყვეტელი ზრდისათვის, ხუთწლედის დავალებებისა და გადიდებული სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის. (საქინფორმი).

ნოვატორი მეშახტე



მოდის ზეგეგმითი სათბოები

ჩვენი ქვეყნის მეშახტეთა მოწინავე კოლექტივების ინიციატივას — მაქსიმალურად დავტვირთოთ ყოველი სანგრევი — ერთერთი პირველი გამოეხმაურნენ ტყიბულელი მეშახტეები და იკისრეს ყოველი სანგრევიდან ამოღოთ ბევრად მეტი სათბობი, ვიდრე ნორმით არის გათვალისწინებული.

ბევრმა ბრიგადამ თვითეული სანგრევიდან ნორმას ზევით 2-3 ტონა სათბობის ამოღება იკისრა. მათ შორის იყო ტყიბულის ორჯონიკიძის სახელობის შახტის ბრიგადა, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. სვანიძე ხელმძღვანელობს. მოწინავე ბრიგადა ვალდებულებას პირნათლად ასრულებს.

სურათებზე: ზემოთ — ორჯონიკიძის სახელობის შახტის სამთოელთა ბრიგადირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. სვანიძე; ქვემოთ — ორჯონიკიძელთა ზეგეგმითი სათბობი.

ბ. ბერსამის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეფექტურად, მომჭირნედ

თბილისი. ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივმა იანვარი დამკვრელური შრომით აღნიშნა. ტვირთის გაგზავნის თვის დავალება 102,4 პროცენტით შესრულა, მათს შორის ქვანახშირისა — 111,4 პროცენტით, ნავთობის პროდუქტებისა — 127 პროცენტით, შავი ლითონებისა — 104,5 პროცენტით, მინერალური სასუქებისა — 113 პროცენტით.

აღსანიშნავია, რომ რკინიგზელებმა საერთო ტვირთზიდვის მოცულობა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 11 პროცენტით გაადიდეს, ხოლო ვაგონების საშუალო სადღეღამისო დატვირთვა — 10,5 პროცენტით.

რკინიგზელთა დამკვრელური ვახტი თებერვალშიც გრძელდება. შეჯიბრება მიმდინარეობს დეკადაზეთ — ვიშრომოთ ეფექტურად, მომჭირნედ, დავიჭიროთ სახალხო-სამეურნეო ტვირთბრუნვა. რკინიგზის ქვედანაყოფებში ყოველდღიური დავალებები ვადაზე სრულდება.

წელს უკეთ, ვიდრე შარშან

თბილისი. 7,9 მილიონი ტონა ტვირთი გადაზიდეს და 123,5 მილიონი ტონა-კილომეტრი გაიარეს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საერთო სარგებლობის ტრანსპორტის საწარმოთა კოლექტივებმა ხუთწლედის ბოლო წლის პირველ თვეში, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი მოწოდების პასუხად დამკვრელურ თვად იყო გამოცხადებული.

ტვირთის გადაზიდვის გეგმა შესრულდა 102.6 პროცენტით, ტვირთბრუნვისა — 9,5 პროცენტით. იანვარში სამინისტროს საწარმოთა ავტობუსებმა გადაიყვანეს 41,4 მილიონი მგზავრი და გაიარეს 341,5 მილიონი მგზავრ-კილომეტრი. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებლები შესაბამისად 7,7 და 7 პროცენტით აღემატება შარშანდელ მაჩვენებლებს.

ტრანსპორტელთა პირობაა წლევანდელი გეგმა ვადამდე გაანადგურონ.

პროდუქცია ხარისხის ნიშნით

ბათუმი. (საკ. კორ.). მოსკოვიდან სასიხარულო ცნობა მოვიდა. ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკის ხუთ მოდელს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიეკუთვნა.

ამრიგად ბათუმის ამ საწარმოთა რიცხვს, რომელთა პროდუქციამაც სახელმწიფო ხარისხის ნიშანი დაიმსახურა, კიდევ ერთი შეემატა. ახლა ქალაქის მრეწველობის 28 ნაწარმს აქვს მინიჭებული სახელმწიფო ხარისხის ნიშანი.

ბათუმელი მეფეხსაცმელეები მალე ხარისხსანიშნიანი პროდუქციის სერიულ გამოშვებას დაიწყებენ.

ქალაქის მოწინავე საწარმოთა საბრძოლო ამოცანად რჩება არა მარტო ის, რომ გაზარდონ ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ნომენკლატურა, არამედ ისიც, რომ საერთო პროდუქციის მოცულობაში გადიდდეს მისი ხვედრითი წილი.

უხვად, დროზე, მაღალხარისხოვნად

დამამთავრებელ წელს გეპირდებიან

მცხეთა

პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად მცხეთის რაიონის მშრომელებმა იკისრეს ვალდებულება:

სახელმწიფოს მიაყიდონ 1.500 ტონა მარცვლეული გეგმით გათვალისწინებული 727 ტონის ნაცვლად; 10.000 ტონა ყურძენი 9.680 ტონის ნაცვლად, 4.005 ტონა ხილი ნაცვლად 3.795 ტონისა, 15.290 ტონა ბოსტნეული 14.890 ტონის ნაცვლად, 850 ტონა ხორცი 667 ტონის ნაცვლად, 3.470 ტონა რძე 3.101 ტონის ნაცვლად, 1.020 ათასი ცალი კვერცხი 1.000 ათასი ცალის ნაცვლად.

მეცნიერული ნაშუშევრების დანერგვისა და აგროტექნიკურ ღონისძიებათა ხარისხოვნად შესრულების გზით გაადიდონ სოფლის მეურნეობის კულტურების ჰექტარობრივი მოსავლიანობა და თვითეული საფუძველი ძროხის წველადობა.

რაიონის მრეწველობის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს პროდუქციის რეალიზაციისა და წარმოებიდან 1975 წლის შემხვედრი გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის, წარმოების ზრდის ტემპი გაადიდონ 11 პროცენტით, უზრუნველყონ პროდუქციის წარმოების მატების 85 პროცენტი შრომის ნაყოფიერების გაზრდის გზით.

მარნეული

დამამთავრებელი წლის უხვი მოსავლის მისაღებად მარნეულის რაიონის შრომითმა კოლექტივებმა იკისრეს შემდეგი სოციალისტური ვალდებულებანი: მიაყიდონ სახელმწიფოს 31.000 ტონა ბოსტნეული გეგმით გათვალისწინებული 29.250 ტონის ნაცვლად, 7.000 ტონა მარცვლეული 4.588 ტონის ნაცვლად, 5.500 ტონა ხილი 5.225 ტონის ნაცვლად, 16.000 ტონა ყურძენი 15.610 ტონის ნაცვლად, 2.000 ტონა კარტოფილი 1.500 ტონის ნაცვლად, 3.450 ტონა თამბაქო 3.391 ტონის ნაცვლად, 1.500 ტონა ხორცი 1.462 ტონის ნაცვლად, ეზრუნველყონ ეთერზეთოვანი ყოფილ-ტრების ნედლეულის, რძის, მატყლის, აბრეშუმის პარკის, ბალახის ფეხვნილის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდება.

რაიონის სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივებმა ვალდებულება იკისრეს პროდუქციის რეალიზაციის გეგმა შეასრულონ ვადამდე, 25 დეკემბერს. გადაწყვეტილია გეგმის გადაჭარბებით გაანადგურონ 772 ათასი მანეთის პროდუქცია, უზრუნველყონ ყველა სახეობის სამრეწველო პროდუქციის გამოშვების დავალებათა შესრულება, მიაღწიონ მის მაღალ ხარისხსა და თვითღირებულების შემცირებას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას.

ვადამდე უნდა ჩაგდეს მწყობრში როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე სამრეწველო დანიშნულების ყველა ასამუშავებელი ობიექტი.

ადიგენი

ადიგენის რაიონის მშრომელებმა, რომლებიც ჩაბმული არიან ხუთწლედის დამამთავრებელ წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის გაწეულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, იკისრეს შემდეგი სოციალისტური ვალდებულებანი:

გაზარდონ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება სახზოგადოებრივ სექტორში და აწარმოონ 1.852 ტონა მარცვლეული გეგმით გათვალისწინებული 1.767 ტონის ნაცვლად, 1.209 ტონა ხილი გეგმითი 1.120 ტონის ნაცვლად, 7.831 ტონა კარტოფილი ნაცვლად 7.604 ტონისა, 2.463 ტონა ბოსტნეული, ნაცვლად 2.376 ტონისა. 733 ტონა ხორცი (ცოცხალი წონა) 713 ტონის ნაცვლად, 3.815 ტონა რძე, 3.721 ტონის ნაცვლად.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების საფუძველზე სახელმწიფოს მიაყიდინან 242 ტონა მარცვლეულს 215 ტონის ნაცვლად, 2.852 ტონა კარტოფილს 2.540 ტონის ნაცვლად, 2.301 ტონა ბოსტნეულს 2.195 ტონის ნაცვლად, 668 ტონა ხორცს (ცოცხალი წონა) 610 ტონის ნაცვლად, 3.108 ტონა რძეს 3.000 ტონის ნაცვლად.

რაიონში გეგმასთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზრდება სამრეწველო წარმოება, სამშენებლო და სარემონტო სამუშაოთა მოცულობა. (საქინფორმი).

ჩამოვიდა გვინეა-ბისაუს რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია

19 თებერვალს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა გვინეა-ბისაუს რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია რესპუბლიკის სახელმწიფო კომისართა საბჭოს მთავარი კომისრის (მთავრობის მეთაურის), გვინეისა და მწვანე კონცხის კუნძულების დამოუკიდებლობის აფრიკელთა პარტიის ხელმძღვანელობის წევრის ფრანსისკო მენდესის მეთაურობით.

გვინეა-ბისაუს რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ შერემეტიევის აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი და სხვა ოფიციალური პირნი.

სტუმრებს გულთბილად მიესალმნენ საბჭოთა დიდქალაქის მშრომელთა წარმომადგენლნი.

საფრენ მოედანზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. შესრულდა ორი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნები.

ა. ნ. კოსიგინმა და ფრანსისკო მენდესმა ჩამოთვალეს საბჭოთა მეომრების მეგობრობა.

აეროდრომიდან ფრანსისკო მენდესი და ა. ნ. კოსიგინი ავტომობილით მოტოციკლისტთა საპატიო ესკორტის თანხლებით გაემართნენ დელეგაციის ოფიციალური რეზიდენციისაკენ.

ქუჩები და მოედნები, სადაც ავტომანქანების კორტეჟმა ჩაიარა, მორთული იყო ორი ქვეყნის სახელმწიფო ალმებით და მისასალმებელი ტრანსპარანტებით: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, გვინეელო მეგობრებო!“, „ძმური სალამი გვინეა-ბისაუს რესპუბლიკის გმირი ხალხის წარმომადგენლებს!“, „დაე ცოცხლობდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და გვინეა-ბისაუს რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობა!“. (საკ. ფდესი).

• • •

იმავე დღეს გვინეა-ბისაუს რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია იყო ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში და გვირგვინით შეამკო იგი.

შემდეგ სტუმრებმა გვირგვინით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი კრემლის კედელთან.

ფრანსისკო მენდესმა და დელეგაციის წევრებმა წუთიერი დუმილით ხსოვნას, რომლებიც დაიღუპნენ ფაშიზმისაგან ევროპის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. (საქინფორმი).

მეგობრული ვიზიტით

19 თებერვალს მოსკოვში მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. ჰნოუპეკი.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, ოლიმპიადა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. ჰნოუპეკი და მის თანმხლებ პირებს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სხვა ოფიციალური პირები. (საკ. ფდესი).

ძმური მეგობრობის ვითარებაში

19 თებერვალს დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მოლაპარაკება ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთან, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან ბ. ჰნოუპეკთან, რომელიც მოსკოვში მეგობრული ვიზიტით იმყოფება. (საკ. ფდესი).

მ. ი. კალინინის რჩეული ნაწარმოებები

ფლეშს სრულდება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფისა და თანამებრძოლის მიხეილ ივანეს-ძე კალინინის დაბადების მე-100 წლისთავი. ამ თარიღის გამო პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა მ. ი. კალინინის რჩეული ნაწარმოებების კრებული. კრებულში შევიდა უმნიშვნელოვანესი, ყველაზე აქტუალური სტატიები, სიტყვები, საუბრები გ. ი. ლენინზე, კომუნისტურ პარტიაზე, ხალხთან მის განუყოფელ კავშირზე, საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმსა და ინტერნაციონალიზმზე, ახალი ადამიანის აღზრდასა და სხვა საკითხებზე.

კრებული იწყება ვ. ი. ლენინის მიერ სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე 1919 წლის 30 მარტს წამოთქმული სიტყვით „სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე მ. ი. კალინინის კანდიდატურის შესახებ“. მიხეილ ივანეს-ძე საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელის პოსტზე თავდადებით მუშაობდა ოცდაშვიდი წლის განმავლობაში. (საკ. ფდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 19 თებერვლის დადგენილებით საქართველოს სს რესპუბლიკაში ქალის საერთაშორისო წლის მომზადებისა და ჩატარების კომისიის შემადგენლობაში დამტკიცებულ იქნა: **ბ. ნ. გრიგალაშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე, **ე. დ. კომაზიძე** — საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე, **მ. ა. მეზვრიშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი, **რ. მ. ხარიშვილი** — საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი, **ა. პ. ხაჟვარელიძე** — საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი. (საქინფორმი).

სრულიად საკავშირო თათბირი მეფრინველეობის საკითხებზე

18 თებერვალს მოსკოვში გაიხსნა მეფრინველეობის მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი. მისი მონაწილეები განიხილავენ შარშანდელი წლის შედეგებსა და ხუთწლედის დამამთავრებელ წლის კიერცხისა და ფრინველის ხორცის წარმოების გადიდების გზებს.

თათბირზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საწარმოთა მუშაობის ეფექტიანობის შემდგომ ზრდას, სახორცე მეფრინველეობის განვითარების დაჩქარებას.

თათბირზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი დ. ს. პოლიანსკი. (საკ. ფდესი).

მარილი ტექნოლოგიის მოკავშირეა

ლენინგრადი. (საკ. კორ.). სუფრის მარილი მარტო სამზარეულოში როდი ყოფილა საჭირო, ახლა მას ფართოდ იყენებენ ლენინგრადის კ. ე. ციოლკოვსკის სახელობის მანქანათაშენებელ ქარხანა „ზვეზდაში“. ელექტროდენებთან ერთად ჩვეულებრივი სუფრის მარილი აპირალებს უმცირეს ხვრელებს ძრავების სათბობი აპარატურის დეტალებში.

საწარმოში ამუშავდა დანადგარი, სადაც ელექტროლიტია მარილიანი წყალი. მის დანერგვაში ქარხანას დაეხმარნენ ლენინგრადის ელექტროდამუშავების სპეციალურ-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ბიუროს თანამშრომლები, რომლებმაც ტიპობრივი დანადგარის ბაზაზე შექმნეს ახალი ავრეგატი.

ახალმა ხერხმა გაუმჯობესა დეტალების დამზადების ხარისხი, ერთიანობად დაჩქარა ტექნოლოგიური პროცესი, გათავისუფლა ბევრი მუშა.

დღეს 20 თებერვალს დილის 10 საათზე გაიმართება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა, უმაღლეს სახწავლებელთა, უწყებათა და საწარმოთა წარმომადგენლების მონაწილეობით.

დღის წესრიგი:

რესპუბლიკის მეცნიერთა ამოცანები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით. მომხსენებელი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიცა-პრეზიდენტი აკადემიკოსი **ე. ხარაძე.**

კრება გაიმართება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

რეგისტრაცია იწყობოს დილის 9 საათიდან.

ბათუმის კონსტროლიორ

სახალხო კონტროლის გვეჯდი № 97

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმმა მოითხოვა: სახალხო კონტროლი პარტიისა და სახელმწიფოს საიმედო თანაშემწე უნდა იყოს ჩვენი პარტიტაქტიკა მთავრობის დირექტივების შესრულების შემოწმებაში, პასუხისმგებლობის ამაღლებასა და დისციპლინის, კანონიერების განმტკიცებაში.

როგორ ვიყენებთ ენერგეტიკულ რესურსებს?

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

სახალხო მეურნეობაში ხათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესრულების შემოწმების შედეგების შესახებ ამას წინათ ამსჯელა რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტმა.

ამ მხრივ სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს გარკვეული მუშაობა აქვთ გაწეული. მაგრამ მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ უთმობენ სათბობის, თბოენერგიისა და ელექტროენერგიის მომკირნედ და რაციონალურად გამოყენების საკითხებს, არ იღებენ ქმედით ზომებს მათი უყაირათოდ ხარჯვის აღკვეთისათვის და ეკონომიის დამატებითი რეზერვების გამოსახვათვის, არ ამყარებენ სახელმწიფო წესრიგს ხათბობ-ენერგეტიკული რესურსების აღრიცხვისა და ხარჯვის ნორმების შემცირების საქმეში. გასულ წელს ანგარიშსაბარებელ ათ პროცენტამდე საწარმომ დაუშვა დიდძალი ელექტრო და თბოენერგიის გადახარჯვა.

ეს ძირითადად გამოწვეული იყო საწარმოო გეგმების შეუსრულებლობით, ხიმძლავრეთა არადამკმაყოფილებელი დატვირთვით, ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევით, მოძველებული და არაეკონომიური თბოენერგეტიკული მოწყობილობის, საკნებრივლო-საზომი აპარატურის არასრულყოფილი გამოყენებით.

საქართველოს სსრ საშინ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საწარმოებიდან პირობითი ხათბობის გადახარჯვა დაუშვეს — საგარეჯოს საშენ მასალათა ქარხანამ, მეტეხის, ქიათურისა და სამგორეთის საშენ მასალათა კომბინატებმა, თბოენერგიისა — „საგარეჯოს საშენ მასალათა კომბინატმა, ჯანმის ცემენტის ქარხანამ და ცხინვალის საშენ მასალათა კომბინატმა.

შარშან სამტრედიის საშენ მასალათა კომბინატში (დირექტორი ნ. ხუციანი, მთავარი ინჟინერი დ. ჩიქოვანი) სხვადასხვა მიზეზით გადაიხარჯა 897.6 ტონა პირობითი ხათბობი (28 პროცენტი). ამ კომბინატში არადამკმაყოფილებელ მდგომარეობაშია ენერგომეურნეობა, არ წარმოებს თბოენერგიის ხარჯვის აღრიცხვა. უკანასკნელ ხამ წელიწადში არ გადახარჯულა გამოსაშვები პროდუქციის ძირითად სახეობებზე ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმები.

რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში ხათბობისა და ელექტროენერგიის არარაციონალურად გამოყენების, ავრეგატების არადამკმაყოფილებლად მუშაობის, ენერგეტიკული მოწყობილობის ექსპლოატაციის წესების დარღვევის, საანგარიშსწორებო ნორმების არადროულად დანერგვის შედეგად ხათბობის გადახარჯვას ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთის სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში, აბაშისა და წითელწყაროს რაიმრეწკომბინატებში; ელექტროენერგიისა — გეგეჭკორის და ახალციხის რაიმრეწკომბინატებში და ქარხანა „თბილისოფლმანქანაში“.

ხათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიისა და ხვედრითი ხარჯვის ნორმების 2 პროცენტამდე შემცირების თვალსაზრისით ზემდგომი ორგანოების მითითებათა მიუხედავად, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ზოგიერთ საწარმოში უკანასკნელი ხამ წელიწადში ნორმები არ გადასინჯულა, ხოლო მოქმედი — არ დამტკიცებული. სამინისტროს ენერგოსამსახური (მთავარი მექანიკოსისა და ენერგეტიკის განყოფილების უფროსი ჯ. აბულაძე) არ ახორციელებს სათანადო კონტროლს საწარმოთა ენერგომეურნეობების მდგომარეობაზე, არ უკეთებს ანალიზს მათს ანგარიშგებას. მაგალითად, № 8 მექანიკურ ქარხანასა და საწარმოო გაერთიანება „სიხარულში“ ხარჯვის ნორმების უქონლობის გამო არ აღირიცხება მიღებული თბოენერგიის ხარჯი და მისი ღირებულების ანაზღაურება ხდება მომწოდებელთა ანგარიშებით.

ნაკლოვანებებს ადგილი აქვს ავრეთვე საქართველოს სსრ სახალხო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო საწარმოებში. ეკონომიის მნიშვნელოვან წყაროებს ვერ იყენებენ რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის, შენებლობის, საავტომობილო ტრანსპორტისა და სხვა სამინისტროები, რომლებიც დიდძალ ჯარიმებს იხდიან.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თბომეურნეობის სამმართველოს ზოგი თბოსადგური (სამმართველოს უფროსი რ. მუსერიძე, მთავარი ინჟინერი კ. ფარცხალავა) დღემდე უზრუნველყოფილი არ არის გამომუშავებული თბოენერგიის საზომი ხელსაწყოებით და იგი განსაზღვრება მხოლოდ განგარიშების გზით კაზის ფაქტიური ხარჯვისა და ამონენტებისათვის გათბობის, ცხელი წყლისა და ორთქლის ღირებულების დარიცხვით. მათი ოდენობა საორიენტაციოა და გამორიცხავს სათანადო კონტროლს.

მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს ელექტროენერგიის დანაკარგები რესპუბლიკის ენერგოსისტემის ქსელებში 1973 წელთან შედარებით 16,5 პროცენტიდან 14,84 პროცენტამდე შემცირდა, ჯერ კიდევ დიდია და შეადგინა 1.542 მილიონ კილოვატ-საათი. ეს, ძირითადად, გამოწვეულია რესპუბლიკის ენერგოსისტემის არასაკმაო განვითარებით.

კვლავ ადგილი აქვს ელექტროენერგიის დატაცებას, აღრიცხვის სქემების დარღვევას, აგრეთვე დიდი უმრიცხველო ამონენტების რაოდენობა. მაგალითად, 1974 წელს 58 ობიექტზე დარღვეული იყო ელექტროენერგიის აღრიცხვის სქემა და მათზე დამატებით დაირიცხა 15,9 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ღირებულება 214,5 ათასი მანეთი. 344 შემთხვევაში გამოვლინდა ელექტროსარგებლობის წესების დარღვევები მობინადრე ამონენტების მიერ და მათგან დამატებით ამოღებულია 1,9 მილიონ კილოვატ-საათი ელექტროენერგიის ღირებულება 77 ათასი მანეთი.

რესპუბლიკის მრავალი საწარმოსა და ორგანიზაციის სახალხო კონტროლის ჯგუფები ჯერ კიდევ ნაკლებად სწავლობენ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიურად ხარჯვის, ენერგოსამსახურების მიერ სათბობისა და ენერგიის ხვედრითი ხარჯვის შესამცირებლად ორგანიზაციოლ-ტექნიკური ღონისძიებების შესრულების, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისა და მათი ეკონომიის რეზერვების გამონახვის საკითხებს.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის გადაწყვეტილებით საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის (მინისტრი ო. ლოლაშვილი), ადგილობრივი მრეწველობის (მინისტრი მ. მაღრაძე) და სახბინაო კომუნალური მეურნეობის (მინისტრი ვ. პაატაშვილი) სამინისტროებს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან (თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. თინთბერიძე) ერთად დაევალათ მიღონ ზომები მთდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში ენერგეტიკული რესურსების გამოყენების, ღონ ზომები მთდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში ენერგეტიკული რესურსების გამოყენებაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. კომიტეტის დადგენილებით ბევრი რამ უნდა გაკეთონ აგრეთვე „საქმთავარენერგოს“ (უფროსი უ. ცქვიტინიძე) და „თელასის“ (უფროსი დ. გურგენიძე) სამმართველოებმა. ამასთან კომიტეტმა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მთავარი მექანიკოსისა და ენერგეტიკის განყოფილების უფროსს ზ. აბულაძეს გამოუცხადა საყვედური.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებებში თბილისის სახალხო კონტროლის ორგანოები მთელი სიცხადით ხედავენ თავიანთ ამოცანებს, ჩათი წარმატებით შესრულებისა და კონტროლის ეფექტურობის ამაღლების გასაღებს. პლენუმის შემდეგ სახალხო კონტროლის კომიტეტებმა, ბევრმა ჯგუფმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მუშაობა, გააძლიერა კონტროლი პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისადმი.

ახლა ისინი უფრო აქტიურად და სისტემატურად ახორციელებენ კონტროლს საწარმო გეგმების შესრულების, რეზერვების გამოვლინების, ნედლეულისა და მასალების რაციონალურად ხარჯვის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების წარმოებაში დანერგვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, სოციალისტური საკუთრების დაცვის, სამმართველო აპარატის გაიაფ.ბისა და მუშაობის გაუმჯობესების, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ ბრძოლის და სხვა მრავალ აქტუალურ საკითხებზე.

შარშან სახალხო კონტროლის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებმა შეისწავლეს და განიხილეს 120-ზე მეტი საკითხი გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ: მრეწველობაში, შენებლობაზე, ტრანსპორტზე, ვაჭრობაში, კომუნალურ და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში. რეზერვების გამოვლინების მიზნით შეამოწმეს 150-ზე მეტი საწარმო და ორგანიზაცია.

სახალხო კონტროლის 26 კომისრის რაიონულმა კომიტეტმა პარტიის რაიკომის მხარდაჭერით მაღალ დონეზე ჩაატარა სოციალისტური საკუთრების დაცვის მდგომარეობის თვალიერების ერთთვიური. მისი მსვლელობის პერიოდში შემოვიდა 610 წინადადება. გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით შემუშავდა ორწლიანი პერსპექტიული გეგმა, ერთთვიურის შედეგები შეაჯამა რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ. მიღებული ღონისძიებების შესრულებაზე ეაწესდა მტკიცე კონტროლი.

ანალოგიური მუშაობა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზანდასახულობით ჩაატარა სახალხო კონტროლის კიროვის რაიონულმა კომიტეტმა.

სახალხო კონტროლის თბილისის საქალაქო კომიტეტი შეუერთებელ ბრძოლას აწარმოებს სახელმწიფოს მოტაცების ყოველგვარი მცდელობის წინააღმდეგ. კომიტეტმა 1974 წელს გამოავლინა შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის გაზრდის — მიწერების მრავალი შემთხვევა — 321 ათასი მანეთის ოდენობით და მიიღო სათანადო ზომები.

გასულ წელს სახალხო კონტროლის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა სულ ჩაატარეს 2224 შემოწმება, რეიდი, დათვალიერება, ჯგუფებმა კი 20-ათასზე მეტი.

შეშოწმების შედეგების მიხედვით ჩვენმა კომიტეტებმა პრინციპულად იმსჯელეს 766 ნომენკლატურული მუშაკის პირადი პასუხისმგებლობის შესახებ. მათგან 18 გადააყენეს. ჯგუფებმა მოისმინეს 4557 კაცის ახსნა-განმარტება, რომელთაც ბრალი მიუძღოდათ გეგმების შეუსრულებლობაში, დაუშვეს ხვადასხვა სახის დარღვევები.

საქართველოს დედაქალაქის სახალხო კონტროლიორთა მონდომებული და მუყაითი შრომის შედეგად 1974 წელს დაზოგილი იქნა 14 მილიონ კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 1029 ტონა შავი ლითონი, 920 ტონა ცემენტი და სხვ; სულ 4 მილიონ ნი ნაზეთის ღირებულების სახალხო სიმდიდრე. ამას გარდა, მათმა ფიზიზელმა თვალმა და აქტიურმა საქმიანობამ გაფუქრებასა და განიავებას გადაარჩინა 327 ათასი მანეთის მატერიალური ფასეულობა.

ქალაქ თბილისის მრეწველობამ გასული წლის დაკალება 23 დეკემბერს შეასრულა და საამბოლოს გეგმის გადამეტებით 38,2 მილიონი მანეთის პროდუქცია მისცა. შენებლებმა გადაჭარბებით გაანაღდეს საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა. მნიშვნელოვანი ინიციატივა ეჩინა ბრალი მიუძღოდათ გეგმების შეუსრულებლობაში, დაუშვეს ხვადასხვა სახის დარღვევები.

ბრავალი ათასი სახალხო კონტროლიორი დაძაბულად, კომუნისტური შეგნებით შრომობს და ღირსეული წვლილი შეაქვს თავის კოლექტივის წარმატებაში. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მოწინავე მუშამ, სახალხო კონტროლიორმა ო. ლავროვსკიმ მეცხრე ხუთწლედის დავალება სამნახევარი წლის განმავლობაში შეასრულა. ახლა იგი მეათე ხუთწლედის ბრძოლის დაჩქარებულ ტემპებს ებრძვის. ასეთივე ენერგიულ ბრძოლაში ერთმანეთს ეჯიბრებიან ბ. ბაბაიანი, ა. ბაბადარი, ბ. ჭკადუა, ჟ. ავალიშვილი, ბ. კახეთელიძე, დ. ბელაშვილი, ვ. ანანოვი და მრავალი სხვა.

თბილისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის მუშაკებმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის შუაზე თვითფრიტიკულად გააანალიზეს თავიანთი საქმიანობა, შეიმუშავეს მიზანსწრაფული სამუშაო გეგმა და შეუდგნენ მის შესრულებას.

ინვრის პირველ რიცხვებში თბილისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტში ჩატარდა იმ საწარმოების სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეთა თათბირი, რომლებმაც ვერ შეასრულეს გასული წლის სახელმწიფო დავალება. ეაიმართა საჭმიანი სჯა-ბაასი. ჯგუფების თავმჯდომარეებს გარდა რჩევა-დარიგებისა, მიეცათ დავალება ერმად ჩაიხედონ გეგმების შეუსრულებლობის მიზეზებში, საკითხი განიხილონ ჯგუფის კრებაზე, შეიმუშაონ რეკომენდაციები, დროზე გაუკეთონ ინფორმაცია თავიანთ კომიტეტებს, პრინციპულად იბრძოლონ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ჩვენ გვინდა, რომ ასეთი პრაქტიკა მტკიცედ დავნერგოთ მუშაობაში. მივაღწიოთ იმას, რომ სახალხო კონტროლის ყველა ჯგუფი მუდამ იყოს საქმის კურსში და ანალიზს უკეთებდეს გეგმების შესრულებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1974 წ.) პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევი მიუთითებდა, რომ 1975 წლის გეგმა უნდა განიხილოთ როგორც მინიმუმი, რომ საჭიროა მაქსიმალურად გამოავლინოთ რეზერვები, მივაღწიოთ ნედლეულისა და მასალების ეკონომიურ ხარჯვას, წვნის შემცირებას და ამის შედეგად მნიშვნელოვნად გადავაჭარბოთ წლიურ დავალებას.

ცხადია, პარტიის ეს მოთხოვნა ჩვენ, სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაკებს, დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს.

რეზერვები ყველგან არის, ამასთან მნიშვნელოვანი. მაგრამ ყველა რეზერვი ხელაპირულად არ დევს. ამიტომ რეზერვების გამოსავლინებლად ჩვენ ვფიქრობთ წელს უფრო აქტიურად გამოვიყენოთ მეცნიერება. ამის აუცილებლობაში კიდევ ერთხელ ვლოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის დადგენილებების შუქზე. კომიტეტმა სწორედ ასეთი პოზიციით კომპლექსურად შეამოწმა ი. ორდუნიას სახელობის ადამიანის გენერაციული ფუნქციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საიდელ-მექანიკური ქარხანა. შემოწმების შედეგები მალე მთელი პრინციპულობით განიხილება კომიტეტის სხდომაზე.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრგან კვლავ ადგილი აქვს უყირათობის, უკონტროლობის, უპასუხისმგებლობის, შრომის არასწორი ორგანიზაციის შემთხვევებს და ამის შედეგად სახელმწიფო დიდად ზარალობს.

ზოგიერთი საწარმოსა და ორგანიზაციაში ნედლეულისა და მასალების აღრიცხვა ჭაოსურ მდგომარეობაშია. ინვენტარიზაცია ფორმალურად ეწყობა, ლიმიტების ბარათები არ არის, მატერიალურ ფასეულობათა შემოსავალში ბარბაჯი „ავიწყდებათ“, საამქროებსა და უბნებს საწყობიდან ნედლეული და მასალები ნორმაზე მეტი გააქვთ, ამასთან ხშირად სათანადო გაფორმების გარეშე და სხვ.

ბევრი ჯგუფი და ზოგიერთი კომიტეტი გულდაწყვეტილი უყურებს ამ აღმაფოთებელ ფაქტებს, პრინციპულ შეფასებას არ აძლევს მათ, საჭირო ქმედითი ზომებს არ იღებს. ამოცანა ის არის, რომ მალე დავძლიოთ გულგრილობა და პასიურობა მუშაობაში, სახალხო კონტროლის ყველა ჯგუფი გავხადოთ აქტიური, ბრძოლისუნარიანი.

ახლა რამდენიმე შენიშვნა-წინადადება.

ბევრი საწარმო ნედლეულითა და მასალებით რიტმულად არ მარაგდება, ამასთან ნაწილი იმისა, რასაც იღებს, — არასტანდარტულია. შედეგი კი მეტად სავალალოა: იერიშობა, უხარისხობა, გადახარჯვები. იმეფია სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტი ღრმად შეისწავლის ამ საკითხს და მიიღებს საჭირო ზომებს.

საწარმო სიმძლავრის სრული დატვირთვით გამოუყენებლობის შემთხვევები უამრავია. ამის გამო სახელმწიფო დიდ ზარალს განიცდის.

ყველაზე ერიდან ჩანს, რომ ამ საქმეში ძირეული გარდატეხა არ იქნება, თუ ეს საკითხი სადირექტივო ორგანოების პრინციპული მსჯელობის საგანი არ გახდა.

ბევრი ლაპარაკია სახალხო კონტროლიორთა სწავლების გაუმჯობესებაზე. ნამდვილად ეს მეტად საჭირო საქმეა. მაგრამ წლების განმავლობაში ამ საკითხში ძვრები არ არის და, ალბათ, არც იქნება მანამდე, სანამ მდგომარეობა არ შეიცვლება. სანამ არ შეიქმნება სათანადო სახელმძღვანელო, არ იქნება პროგრამა და სასწავლო გეგმები.

ეს საქმე რომ მოგვარდეს, საჭირო იქნება სახალხო კონტროლიორთა სწავლების მოწყობა პარტიულ ორგანიზაციებს დაეკისროს.

ვ. ჯანჯღავა,
სახალხო კონტროლის თბილისის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე.

თბილისის გაზის აპარატურის ქარხნის სახალხო კონტროლიორები. მარცხნიდან — მუშა ვ. კოროლევი, ცვლის უფროსი დ. ხიჯაკაძე, სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე ბ. ბერიძე და ინჟინერ-ქიმიკოსი ი. დოხნაძე ამოწმებენ ახალი ფერადი მინანქრით დაფარული გაზქურის ხარისხს.

ბ. ბოგოსიანის ფოტო.

ზეიმინეს... უკანონოდ

ახლა ჩვენში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება მეცხოველეობის შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის, მისი რენტაბელურად გადაქცევისათვის. ამ საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირუტყვის სულადობის ზრდასა და ჯიშობრივ გაუმჯობესებას.

ამასთან დაკავშირებით ზემდგომმა ორგანოებმა შარშან ნოემბერში გამოსცეს სპეციალური განკარგულება, რომელიც მოსახლეობიდან პირუტყვის შეძენას იხებოდა.

ამ მითითების შესასრულებლად თავიდანვე ფართო მუშაობა გაიშალა. რაიონის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და „რაიკოლმეცოველმრეწვმა“ შექმნეს კომისიები.

კოლმეურნეობებმა უკვე შეისყიდეს გარკვეული რაოდენობის პირუტყვი, მათ შორის 318 უშობელი. „რაიკოლმცხოველმრეწვმა მოსახლეობისაგან შეიძინა 6 ათასზე მეტი ცხვარი, აქედან 4 053 ნირბი.

თიანეთის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტი, რომელმაც ამ საკითხზე სიფხანლები მიიღო, დაინტერესდა საქმის ვითარებით და შეამოწმა არსებული მდგომარეობა. სამწუხაროდ, გამოირკვა, რომ საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა და კომისიებმა ჯერად ვერ გაიგეს მითითება. ჯიშობრივად მაღალი და ჯანმრთელი პირუტყვის შეძენის ნაცვლად, მათ ყურადღება გამამახვილეს რაოდენობაზე. შეიძინეს არა მარტო საფურე, არამედ სახარე მოზარდიც.

მაგალითად, ჩეკურაანთგორისა და თიანეთის კოლმეურნეობებმა სახაშენოდ ვარგისი უშობლების ნაცვლად 50 ძროხა შეისყიდეს. უარესი მდგომარეობა აღმოჩნდა ერწოს საბჭოთა მეურნეობაში. აქ 100 უშობლის ნაცვლად 78 სული ხაქი შეიძინეს. გარდა ამისა, რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა შეისყიდეს 2.592 ღორი, მათ შორის ვეფხტის კოლმეურნეობამ — 121 სული, ზარიფეთმა — 339, ტეშურებმა — 119, თიანეთის კოლმეურნეობამ — 117, სიმონიანთხევმა — 43, „რაიკოლმცხოველმრეწვმა“ — 1.818.

შემოწმებით აგრეთვე გამოირკვა, რომ რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები მოსახლეობისაგან პირუტყვის შეძენის დროს სრულყოფილად არ აფორმებდნენ საჭირო დოკუმენტაციას.

ამ დამახინჯებებისათვის კონკრეტულმა დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ.

ტ. ჯამბაძე.
თიანეთის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

ადგილობრივ ორგანიზაციებში

ერთგულ-ერთგულ ... ...

... ...

მწერალი და ცხოვრება

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი

მიწოთ პარტიასთან და ხალხთან ერთად, ვიზრომოთ და ეწეროთ ხალხისათვის, რომლის გმირული საქმეები შთაგვაგონებენ ახალი ნაწარმოებების შესაქმნელად, აღვზარდოთ თაობები ინტერნაციონალური სულისკვეთებით — ეს აზრი წითელ ზოლად გასდევდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმის მუშაობას, რომელიც ამ დღეებში გაიმართა მწერალთა კავშირის სასახლეში.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ ქართული სიტყვის ოსტატები, თვალსაჩინო მეცნიერი სპეციალისტები, განათლების დარგის მუშაკები.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის გრ. აბაშიძის მოხსენება — „მწერალთა კავშირის ლენინძიებანი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მუშაობის შესახებ“ მწრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის“ შესასრულებლად“.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ: მწერლები კ. კალაძე, ს. ჭილაია, ი. ნონეშვილი, დ. კვიცარიძე, ვ. ნატროშვილი, ჯ. ჩარკვიანი, გ. ასათიანი, ო. დონღაზეული.

პლენუმზე აღინიშნა, რომ საქართველოს მწერალთა ორგანიზაციამ გარკვეული მუშაობა გასწია ამ მნიშვნელოვანი დადგენილების შესასრულებლად. მწერალთა კავშირის ინიციატივით რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში გაიმართა ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოები. ხალხთა მეგობრობის დღესასწაულად იქცა გალაკტიონ ტაბიძისა და სიმონ ჩიქოვანისადმი მიძღვნილი საღამოები მოსკოვში.

ქალაქ ქუთაისმა უმასპინძლა ახალგაზრდა მწერალთა საკავშირო შეკრებას მონაწილეებს;

თბილისში გაიმართა ხაბჭოთა მწერლებისა და კრიტიკოსების დიდი ფორუმი, რომელიც მიეძღვნა კომუნისტის სახეს საბჭოთა ლიტერატურაში.

გაიმართა საინტერესო შეხვედრები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რომლებშიც მონაწილეობდნენ საქართველოს კულტურის მოღვაწეები. ახალგაზრდა ინდუსტრიული ცენტრს — რუსთავს ესტაფრნენ ოსი მწერლები, აფხაზი კალმის ოსტატები იყვნენ ქუთაისის მშრომელებთან.

ხალხთა მეგობრობის ისტორიაში ნათელი ფურცლები ჩაწერა აფხაზეთის კულტურის დღეებმა, აფხაზეთის სახალხო პოეტის დიმიტრი გულიასადმი მიძღვნილმა საუბილეო ღონისძიებებმა თბილისში.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა თ. ბუაჩიძემ თავის მოხსენებაში „ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ამოცანები და საქართველოს მწერალთა კავშირის ღონისძიებები“, აღნიშნა, რომ ქართულ მწერლობას კარგად აქვს შეგნებული მის წინაშე მდგომი ამოცანები. შემოქმედებითი შრომა, მასების ენთუზიაზმი, დიადი პროგრამის შესრულებისათვის მებრძოლი ადამიანის ფიქრი და განცდა, მისი ცხოვრება უნდა გახდეს ჩვენი მწერლობის მთავარი თემა.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნის ბ. ჟღენტის მოხსენება — „მსატვრული ლიტერატურის სწავლება საქართველოს საშუალო სკოლაში“. მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ მეცნიერები, მწერლები, განათლების დარგის მუშაკები — არნ. ჩიქობავა, ნ. კეცხოველი, თ. ლაშქარაშვილი, ვ. მაღრაძე, ა. ღლონტი, რ. ჯაფარიძე, რ. მამინიშვილი, ა. თოფურია, ა. მეკვლიძე, კ. იმედაშვილი, ვ. ბაიაქი, მ. გიგაშვილი, ა. ჩაჩიბაია, ზ. ჭუმბურიძე, კ. დევდარიანი, ო. დოლაბერიძე, ზ. ბერულავა, ვ. ჭელიძე, ც. ქვათაძე, ვ. რამიშვილი, რ. ინანიშვილი.

ორატორებმა აღნიშნეს, რომ მხატვრული ლიტერატურის სწავლება საქართველოს საშუალო სკოლებში ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამები და სახელმძღვანელოები მოითხოვენ საფუძვლიან გადამუშავებას. პლენუმზე აღინიშნა სახელმძღვანელოებში დაშვებული ზოგიერთი უზუსტობანი, უმრისული გამოთქმები, ენობრივი შეცდომები.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო დადგენილებანი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჩერქეზიშვილი.

(საქინფორმი).

ბლოკნოტი დღეს

მშვიდობის განმტკიცებისათვის

● ჰ. ვილსონის განცხადება პარლამენტში ● ჯ. გოლანი მიესალმება მოლაპარაკების შედეგებს

ლონდონი, 19 თებერვალი. (საკდესი). დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჰ. ვილსონმა თემთა პალატაში გააკეთა განცხადება საბჭოთა კავშირში მისი ოფიციალური ვიზიტის დროს საბჭოთა ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების შედეგების შესახებ.

შევთანხმდით, ხაზი გაუსვა პრემიერ-მინისტრმა, რომ ჩვენმა შეხვედრებმა და დოკუმენტებმა, რომლებსაც ხელი მოვაწერეთ, მტკიცე საძირკველი ჩაუყარეს ორი ქვეყნის ურთიერთობაში ახალი ეტაპის დაწყებას. ჩვენ გვქონდა ფრიად სასარგებლო საუბრები დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხებზე და კერძოდ, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შესახებ.

რაც შეეხება ორმხრივ ურთიერთობას, რომელიც განვიხილეთ, აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა, საბჭოთა კავშირ-ინგლისის ოქმი კონსულტაციების შესახებ შედგენილია ისე, რომ მის საფუძველზე შეიძლებოდეს ახალი თავის დაწყება ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში: თანხმობის სფეროს გაფართოება საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის და გაუგებრობისა და ეჭვების შემცირება.

ჰ. ვილსონმა ხაზი გაუსვა, რომ დასახულია ორ ქვეყანას შორის ეკონომიური და სამრეწველო თანამშრომლობის განვითარების ფართო პერსპექტივები და რომ საბჭოთა კავშირთან სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის გაფართოება მნიშვნელოვან შესაძლებლობებს შექმნის ბრიტანეთის მრეწველობის განვითარებისა და დამატებით სამუშაო ადგილების მიღებისათვის.

ლონდონი, 19 თებერვალი. (საკდესი). დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ჯ. გოლანი მისესალმა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებთან ინგლისის პრემიერ-მინისტრის ჰ. ვილსონის მოლაპარაკების შედეგად დადგენილ ფუნდამენტალურ პოლიტიკურ დოკუმენტებს ხელმოწერას.

ვიზიტირებ მხარეების აზრს, რომ გამართული მოლაპარაკება მოასწავებს ახალი ეტაპის დაწყებას საბჭოთა კავშირ-ინგლისის ურთიერთობაში, თქვა მან საკდესის კორესპონდენტთან საუბარში.

ჩვენ მუდამ ხაზს ვუსვამდით, რომ დაძაბულობის შენელებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების პოლიტიკა, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ გამოაცხადა, შეუსაბამება ინგლისელი ხალხის ძირეულ ინტერესებს, აღნიშნა დიდი ბრიტანეთის კომპარტიის ენერგიულმა მდივანმა. ვიზიტის შედეგები ხელს შეუწყობენ მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებას.

ახლა, ხაზი გაუსვა ჯ. გოლანმა, ჩვენ უნდა მივაღწიოთ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წარმატებით დამთავრებას. მან იმედი გამოთქვა, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობა სარგებლობას მოუტანს მთელ კაცობრიობას.

ჯ. ფორდის წერილი

ვაშინგტონი, 19 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა კონგრესის ორივე პალატის ხელმძღვანელებს გაუგზავნა წერილი განიარაღებისა და შეიარაღებისადმი კონტროლის საგენტოს საქმიანობისათვის ასიგნებათა დამტკიცებასთან დაკავშირებით.

წერილში აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების თავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გამართოს მოლაპარაკება შეიარაღების, განსაკუთრებით სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის დარგში შეთანხმების მისაღწევად.

ეენეევაში, ნათქვამია წერილში, გრძელდება მოლაპარაკება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე, რომელიც მიზნად ისახავს ვლადივოსტოკის შეთანხმების განხორციელებასა და შეტევითი სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის ახალი შეთანხმების დადებას.

ჯ. ფორდმა განაცხადა, რომ განხორციელდება აგრეთვე ახალი ღონისძიებანი, მშვიდობიანი მიზნით მიწისქვეშა ატომური გამოცდების შესახებ მოლაპარაკების დროს, ატომური იარაღის გაუვრცელებლობის პრობლემისადმი საერთაშორისო მიდგომის შემუშავების, ცენტრალურ ევროპაში ჯარებისა და შეიარაღების შემცირების შეთანხმების მიღწევის ცდების დროს.

ეროვნული ეკონომიკა ციფრებსა და ფაქტებში

საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

ჭორები უარყვეს

კაირო, 19 თებერვალი. (საკდესი). უკანასკნელ ხანს ეგვიპტისადმი მტრულად განწყობილი წრეები ავრცელებენ ხმებს არახელსაყრელი თანამდევი მოვლენების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ასუანის მაღლივ კაშხალთან, და რომლებიც თითქოს და გავლენას ახდენენ მოკროლმატზე, ნაოდგის ნაყოფიერებაზე. ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ირიგაციის მინისტრმა აბმედ ალი ქამალმა, რომელიც გამოვიდა სახალხო კრების ხხდომაზე, გადაჭრით უარყო მსგავსი ჭორები.

ასუანის მაღლივი კაშხალი, თქვა მინისტრმა, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ნაგებობაა. მისი მშენებლობა, რომელიც საბჭოთა კავშირის ეკონომიური და ტექნიკური ხელშეწყობით განხორციელდა, უაღრესად საჭირო იყო სწრაფად მზარდი მოსახლეობისა და მინიმალური ატმოსფერული ნალექების მქონე ქვეყნისათვის.

მაღლივმა კაშხალმა უდიდესი სიკეთე მოგვიტანა. აქედან მთავარია მთელი წლის განმავლობაში ირიგაციისათვის საჭირო წყლის მარაგის დაგროვება, ნილოსის წყლის დონის რეგულირების შესაძლებლობა, ელექტროენერგიის გამომუშავება, რაც მეტად საჭიროა ეგვიპტის განვითარებადი ეკონომიკისათვის.

დროის მოთხოვნის მიუხედავად

ვაშინგტონი, 19 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა ჯ. შლესინჯერმა კონგრესის წარმომადგენელთა პალატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისიას წარუდგინა მოხსენება, რომელშიც ჩამოყალიბებულია ენტაგონის 1976 საფინანსო წლის ბიუჯეტის პროექტი. შეერთებული შტატების საერთო სამხედრო ხარჯები დაგეგმილია 94 მილიარდი დოლარის ოდენობით, ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი მიმდინარე საფინანსო წელთან შედარებით 9,7 მილიარდით გადიდდება. პენტაგონის ასიგნებანი, როგორც მოხსენებაშია აღნიშნული, შემდგომ წლებში განუხრელად გაიზრდება და 1980 საფინანსო წელს 148 მილიარდ დოლარს შეადგენს.

ფოტოინფორმაცია

საფრანგეთი

პარიზის გარეუბნებში საექსპლოატაციოდ გადასცეს პირველი ფრანგული ელექტროავტობუსი (სურათი მარცხნივ). კომფორტული ავტობუსი იტევს 50 მგზავრს და მოძრაობს 60 კილომეტრის სიჩქარით საათში.

აფპ-საკდესის ფოტო.

იაპონია

მიმდინარე წლის ზაფხულში პირველად ალპინიზმის ისტორიაში ევერესტის დასალაშქრავად გაემგზავრება ჯგუფი, რომელიც მთლიანად ქალებისაგან შედგება. ჯერ-ჯერობით თხუთმეტი მამაცი იაპონელი ქალი მიმალაის მთებში გაივლის სამთვიან საწვრთნელ ვარჯიშს.

სურათზე: იაპონელი მთამსვლელი ქალები ტოკიოს აეროპორტში.

იუპი-საკდესის ფოტო.

ხუნტა სამარცხვინო ბოიკოტი

მექსიკო, 19 თებერვალი. (საკდესის სპეც. კორ.). მთელი მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილია მექსიკის დედაქალაქისაკენ, სადაც მუშაობა დაიწყო ჩილეს სამხედრო ხუნტის დანაშაულობათა გამომძიებელი საერთაშორის ოკომისიის მე-8 სესიამ.

სესიის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე გამოვიდა მექსიკის პრეზიდენტი ლუის ეჩეევერია. სესიის მონაწილეებმა, ხაზი გაუსვა პრეზიდენტმა, უნდა ამხილონ ჩილეს დიქტატორული რეჟიმის არსი და მეთოდები.

მქუხარე ოვაციით შეხვდნენ სესიის მონაწილეები სახალხო ერთიანობის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის კლოდომირო ალმეიდას მღელვარე გამოსვლას. მხედრიონმა ვერ დაიჭიმა ჩილელი ხალხი, განაცხადა მინისტრმა.

მთელი მსოფლიო აღფაფრთებულია ჩილეს ხუნტის დანაშაულებრივი ბოკოტით, რომელმაც უზარმაზარ დილეგად აქცია ქვეყანა, თქვა ჩილეს სამხედრო ხუნტის დანაშაულობათა გამომძიებელი საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარემ ი. სედერნანმა.

პლენარულ სხდომაზე გამოვიდნენ სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებრიობის წარმომადგენელნი. ჩილეს ხუნტის წინააღმდეგ ბრძოლას განსაკუთრებული აზრი ენიჭება ამ დღეებში, როცა მთელი კაცობრიობა ემზადება იმისათვის, რომ ზეიმით აღნიშნოს ფაშიზმზე ისტორიული გამარჯვების 30 წლისთავი, ხაზი გაუსვა ჩილელ დემოკრატებთან სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარემ, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ს. ა. შალაევმა.

გამოსტაკავენ რა საბჭოთა ხალხის ნებასა და გრძნობებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, პროფკავშირები, ახალგაზრდათა, ქალთა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები გადაჭრით გმობენ ჩილეელ ფაშისტ დამნაშავეებს, განაგრძო მან. ჩვენმა სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება შეწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობა პინოჩეტის რეჟიმთან. იგი მთელ თავის გავლენას იყენებს, რათა მიაღწიოს საერთაშორისო ასპარეზზე ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას მხედრიონის ალაგმვისათვის.

მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად საბჭოთა ხალხი, აღნიშნა ს. ა. შალაევმა, მოითხოვს ბოლო მოეღოს ჩილეს მხედრიონის დანაშაულობებს. იგი მოითხოვს დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივანი ლუის კორვალანი და ყველა პატრიოტი, რომლებიც ხუტის საპატიმროებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში იტანჯებიან.

საბჭოთა კავშირისა და ამერიკის დელეგაციების შეხვედრა

ჟენევა, 18 თებერვალი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განყოფილებასთან არსებული ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივ წარმომადგენლობაში გაიმართა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის საკითხებისადმი მიძღვნილი მოლაპარაკებაზე წარმოგზავნილი საბჭოთა კავშირისა და ამერიკის დელეგაციების შეხვედრა. მოლაპარაკებაზე სსრ კავშირის დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ხ. სემიონოვი, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას — განსაკუთრებულ დავალებათა ელჩი ა. ჯონსონი.

ბოქმედების ერთიანობა

ალჟირი, 19 თებერვალი. (საკდესი). აქ მუშაობა დაამთავრა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების წარმომადგენელთა („ჯბუფი 77“) ოთხი დღის კონფერენციამ, მინისტრთა დონეზე. კონფერენციაზე მონაწილეობდა 104 განვითარებადი ქვეყანა.

კონფერენციამ თავიდანვე მიიღო ანტიიმპერიალისტური მიმართულება. დელეგატების წინაშე გამოვიდა ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე ჰ. ბუმედიენი, რომელმაც დაგმო განვითარებად ქვეყნებთან იმპერიალისტური სახელმწიფოებ ი ს ეკონომიური ურთიერთობის არასწორაფლებიანი ხასიათი და მოუწოდა კონფერენციის მონაწილეებს იბრძოლონ ამ ურთიერთობის გადასინჯვისათვის. კონფერენციის ბევრმა მონაწილემ თავის გამოსვლებში ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა მოქმედების ერთიანობა ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში.

კონფერენციაზე შეიმუშავეს მთელი რიგი რეკომენდაციები განვითარებადი ქვეყნების ინდუსტრიალიზაციისა და სოციალურ-ეკონომიური პროგრესის დაჩქარების დარგში, მიიღეს ერთობლივი დეკლარაცია და მოქმედების პროგრამა.

ჯ. ბუშის ვიზიტი ინდოეთში

ნიუ-დელი, 19 თებერვალი. (საკდესი). ინდოეთის ეროვნული კონგრესის ლიდერ ჯ. ბუშმა ინდოეთის ეროვნული კონგრესის ორივე ფრთის ლიდერებთან ინდოეთის ეროვნული ეკონომიკის, ინდოეთ-ბანგლადეშის ურთიერთობებისა და ინდოეთ-ინგლისის ურთიერთობების საკითხებზე ინდოეთ-ინგლისის ურთიერთობებზე ინდოეთ-ინგლისის ურთიერთობებზე ინდოეთ-ინგლისის ურთიერთობებზე ინდოეთ-ინგლისის ურთიერთობებზე ინდოეთ-ინგლისის ურთიერთობებზე ინდოეთ-ინგლისის ურთიერთობებზე ინდოეთ-ინგლისის ურთიერთობებზე ინდოეთ-ინგლისის ურთიერთობებზე ინდოეთ-ინგლისის ურთიერთ

ბუნტა სამარცხვინო ბოიკოტი

მექსიკო, 19 თებერვალი. (საკდესის სპეც. კორ.). მთელი მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილია მექსიკის დედაქალაქისაკენ, სადაც მუშაობა დაიწყო ჩილეს სამხედრო ხუნტის დანაშაულობათა გამომძიებელი საერთაშორის ოკომისიის მე-8 სესიამ.

სესიის გახსნის საზეიმო ცერემონიაზე გამოვიდა მექსიკის პრეზიდენტი ლუის ეჩეევერია. სესიის მონაწილეებმა, ხაზი გაუსვა პრეზიდენტმა, უნდა ამხილონ ჩილეს დიქტატორული რეჟიმის არსი და მეთოდები.

მქუხარე ოვაციით შეხვდნენ სესიის მონაწილეები სახალხო ერთიანობის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის კლოდომირო ალმეიდას მღელვარე გამოსვლას. მხედრიონმა ვერ დაიჭიმა ჩილელი ხალხი, განაცხადა მინისტრმა.

მთელი მსოფლიო აღფაფრთებულია ჩილეს ხუნტის დანაშაულებრივი ბოკოტით, რომელმაც უზარმაზარ დილეგად აქცია ქვეყანა, თქვა ჩილეს სამხედრო ხუნტის დანაშაულობათა გამომძიებელი საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარემ ი. სედერნანმა.

პლენარულ სხდომაზე გამოვიდნენ სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებრიობის წარმომადგენელნი. ჩილეს ხუნტის წინააღმდეგ ბრძოლას განსაკუთრებული აზრი ენიჭება ამ დღეებში, როცა მთელი კაცობრიობა ემზადება იმისათვის, რომ ზეიმით აღნიშნოს ფაშიზმზე ისტორიული გამარჯვების 30 წლისთავი, ხაზი გაუსვა ჩილელ დემოკრატებთან სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარემ, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ს. ა. შალაევმა.

გამოსტაკავენ რა საბჭოთა ხალხის ნებასა და გრძნობებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, პროფკავშირები, ახალგაზრდათა, ქალთა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები გადაჭრით გმობენ ჩილეელ ფაშისტ დამნაშავეებს, განაგრძო მან. ჩვენმა სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება შეწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობა პინოჩეტის რეჟიმთან. იგი მთელ თავის გავლენას იყენებს, რათა მიაღწიოს საერთაშორისო ასპარეზზე ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას მხედრიონის ალაგმვისათვის.

მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად საბჭოთა ხალხი, აღნიშნა ს. ა. შალაევმა, მოითხოვს ბოლო მოეღოს ჩილეს მხედრიონის დანაშაულობებს. იგი მოითხოვს დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივანი ლუის კორვალანი და ყველა პატრიოტი, რომლებიც ხუტის საპატიმროებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში იტანჯებიან.

ბოქმედების ერთიანობა

ალჟირი, 19 თებერვალი. (საკდესი). აქ მუშაობა დაამთავრა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების წარმომადგენელთა („ჯბუფი 77“) ოთხი დღის კონფერენციამ, მინისტრთა დონეზე. კონფერენციაზე მონაწილეობდა 104 განვითარებადი ქვეყანა.

კონფერენციამ თავიდანვე მიიღო ანტიიმპერიალისტური მიმართულება. დელეგატების წინაშე გამოვიდა ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე ჰ. ბუმედიენი, რომელმაც დაგმო განვითარებად ქვეყნებთან იმპერიალისტური სახელმწიფოებ ი ს ეკონომიური ურთიერთობის არასწორაფლებიანი ხასიათი და მოუწოდა კონფერენციის მონაწილეებს იბრძოლონ ამ ურთიერთობის გადასინჯვისათვის. კონფერენციის ბევრმა მონაწილემ თავის გამოსვლებში ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა მოქმედების ერთიანობა ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში.

კონფერენციაზე შეიმუშავეს მთელი რიგი რეკომენდაციები განვითარებადი ქვეყნების ინდუსტრიალიზაციისა და სოციალურ-ეკონომიური პროგრესის დაჩქარების დარგში, მიიღეს ერთობლივი დეკლარაცია და მოქმედების პროგრამა.

ჯ. ბუშის ვიზიტი ინდოეთში

ნიუ-დელი, 19 თებერვალი. (საკდესი). ინდოეთის ეროვნული კონგრესის ლიდერ ჯ. ბუშმა ინდოეთის ეროვნული კონგრესის ორივე ფრთის ლიდერებთან ინდოეთ-ინგლისის ურთიერთობებზე ინდოეთ-ინგლისის ურთიერთობებზე ინდოეთ-ინგლისის ურთიერთ

19 თებერვალი

ტექნიკის ლენინიდან

საკდესი

გაცვლის გაფართოება

ვაშინგტონი. აქ დაიწყო საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების წარმომადგენელთა მოლაპარაკება ორ ქვეყანას შორის ტურისტული გაცვლის გაფართოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. საბჭოთა კავშირის დელეგაციას მოლაპარაკებაში მეთაურობს მთავარინტურისტის უფროსის მოადგილე ვ. კ. ბოიჩენკო. ამერიკის დელეგაციას — ვაჭრობის მინისტრის თანაშემწე ტურიზმის საკითხებში კ. ლ. უოშბერნი.

მტკიცე კავშირი

ბუდაპეშტი. საბჭოთა კავშირთან მეგობრობა და ურთიერთობა გადაჭყვეტი გარანტია და უდიდესი საერთაშორისო პიროობაა უნგრეთის უშიშროებისათვის, მისი საზღვრების ხელშეუხებლობისათვის, წერს დღეს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „ნეპსაბადშაგი“ სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების 27 წლისთავთან დაკავშირებით.

ბუდაპეშტში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების 27 წლისთავს.

პრეს-კონფერენცია სოფიაში

სოფია. საბჭოთა კავშირის და სხვა სოციალისტური ქვეყნების ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, თუ რაოდენ დიდი შეიძლება იყოს ქალების როლი, რომლებიც მამაკაცებთან თანაბრად მონაწილეობენ ახალი ცხოვრების შენებლობაში. განაცხადა ბულგარეთის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარემ ე. ლაგოდინოვამ. იგი გამოვიდა აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ქალის საერთაშორისო წლისა და მოახლოებული ქალთა საერთაშორისო დღის გამო.

სარწყავი მიწები ოქროს ფონდია

ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გაზაფხულს საქართველოს სოფლის მშრომელები ხვდებიან მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აანალიზებენ შეჯიბრების შედეგებს, რათა განაზოგადონ და გაავრცელონ უხვი მოსავლისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდისათვის ბრძოლის გამარჯვებულთა გამოცდილება, გამოავლინონ ნაკლოვანებანი წარმოებაში, აღმოფხვრან ისინი, დასახონ შრომის ნაყოფიერების ამაღლების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებანი. ერთი სიტყვით, ყოველი ღონე იხმარონ, რათა შეასრულონ 1975 წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებანი.

სარწყავი მიწათმოქმედების ძირეული გაუმჯობესების, სარწყავ მიწებზე უხვი მოსავლის მოწევის მაღალი კალდებულებანი აკისრეს ხალხურ რაიონის სოფლის მშრომელებმა და მოუწოდეს რესპუბლიკის ყველა მიწათმოქმედ მიბაძონ მათ მაგალითს.

დაამთავრებელ წელს — მსოლოდ უხვი მოსავალი

აბლოვდება საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაძაბული დღეები. იმაზე, თუ რამდენად ორგანიზებულად და ხარისხიანად ცოდნით შეეფდგებით საგაზაფხულო თესვას, ნათესების, ვეგანატების, ბაღებისა და ბოსტნების დამუშავებას, დამოკიდებულია ხუთწლედის დამამთავრებელი წლის მოსავალი.

სარწყავ მიწებს სამართლიანად უწოდებენ სოფლის მეურნეობის ოქროს ფონდს. ისინი საშუალებას გვაძლევენ ამინდის არახელსაყრელ პირობებშიც კი მოვიწოთ გარანტირებული უხვი მოსავალი. აი რატომ გადავწყვეტეთ, რომ მოურწყველად არ დავტოვოთ არც ერთი ჰექტარი მიწა, სულ 22.507 ჰექტარი მიწა გვაქვს. ენდა მოვიწოთ შემდეგი მოსავალი: ხორბალი — ჰექტარზე 25 ცენტნერი, გეგმაზე 5 ცენტნერით მეტი. სიმინდი — 30 ცენტნერი, გეგმაზე 5 ცენტნერით მეტი, ბზესუმბრისას თესლი — 12 ცენტნერი, გეგმაზე 2.7 ცენტნერით მეტი. ყურძენი — 60 ცენტნერი, გეგმაზე 15 ცენტნერით მეტი. მნიშვნელოვნად გაკადიდებთ ბოსტნეულისა და საკვები კულტურების წარმოებას.

ამ ვალდებულებათა შესრულებაში დაგეგეხმარება რაიონში შექმნილი მელიორაციის საკოლმეურნეოთაშორისო საწარმოო გაერთიანების კოლექტივი. რომელმაც იკისრა ვალდებულება სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესების მოსარწყავად დაკომპლექტოს „კა-50“ მარკის რვა დასაწყობელი ტანკერი, „დდნ-70“ მარკის ათი დასაწყვიმებელი აგრეგატი, „დდნ-100“ მარკის ათი დასაწყვიმებელი აგრეგატი და „ვოლჟანკის“ მარკის 4 დასაწვიმებელი აგრეგატი, ყველა აგრეგატი უზრუნველყოფილი იქნება კვალიფიციური მექანიზატორებით, რათა რწყვა წარმოებდეს დროულად და მაღალ დონეზე. გაერთიანება, რომელიც ემსახურება რაიონის ცხრა კოლმეურნეობასა და ექვს საბჭოთა მეურნეობას, დაწვიმების ხერხით მორწყავს ექვსი ათას ჰექტარ ნათესებსა და მრავალწლიან ნარგავებს.

რაიონის პარტიული, საბჭოთა ორგანიზები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, სარწყავ სისტემათა ქვემო სამგორის სამმართველოს ხელმძღვანელობა, აღებულია კურსი, რომ უზრუნველყონ სარწყავი ქსელის სანიმუშო მდგომარეობა, არ დაუშვან არხების დანაგვიანება, დროულად შეაკეთონ ისინი, ერთი სიტყვით, ყოველი ღონე იხმარონ, რათა სარწყავი მიწებიდან მიიღონ სრული უკეთგება.

სარწყავ სისტემათა ქვემო სამგორის სამმართველოს კოლექტივმა იკისრა ვალდებულება 20 აპრილისათვის — ვადაზე 10 დღით ადრე — მოამზადოს სისტემა სარწყავი სეზონისათვის. სარწყავი არხების ხელით გაწმენდა განხორციელდება 6 ათასი კუბური მეტრი მოცულობით. მაშინ როცა გეგმა 5 ათას კუბურ მეტრს ითვალისწინებს; სარწყავი არხების მექანიზებული გაწმენდის სამუშაოები შესრულდება გეგმით გათვალისწინებული 80 ათასი კუბური მეტრის ნაცვლად 100 ათასი კუბური მეტრის მოცულობით.

ამ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელს გახდის მოირწყას 12.668 ჰექტარი მარცვლეულის ნათესები. 3.316 ჰექტარი ვენახები. 612 ჰექტარი ბოლი. 409 ჰექტარი სხვადასხვა მრავალწლიანი ნარგავი. 245 ჰექტარი ბუნებრივი სანადები და 1.728 ჰექტარი საძოვრები.

ეკისრულობთ რა გადიდებულ ვალდებულებებს, მოვუწოდებ ბ თ რესპუბლიკის სოფლის მშრომელებს გამარჯვნ შეჯიბრები 1975 წლის უხვი მოსავლისათვის, სანიმუშო რწყვისათვის. იმისათვის, რომ მოურწყავად, იქ, სადაც სარწყავი არხებია და დასაწვიმებელი აგრეგატები მუშაობენ. არ დატოვონ არც ერთი ჰექტარი მიწა.

(საქინფორმი).

საბარეჯოს რაიონის მშრომელებმა გადაწყვიტეს:

- წლეულს მორწყან 22.507 ჰექტარი მიწის ნაკვეთი.
- ნათესების მოსარწყავად დაკომპლექტონ სხვადასხვა მარკის 32 დასაწყვიმებელი აგრეგატი.
- ქვემო სამგორის სამმართველოს კოლექტივმა 20 აპრილისათვის — ვადაზე 10 დღით ადრე — მოამზადოს სარწყავი სისტემა მთელი სეზონისათვის.

დაამთავრებელ წელს — მსოლოდ უხვი მოსავალი

აბლოვდება საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაძაბული დღეები. იმაზე, თუ რამდენად ორგანიზებულად და ხარისხიანად ცოდნით შეეფდგებით საგაზაფხულო თესვას, ნათესების, ვეგანატების, ბაღებისა და ბოსტნების დამუშავებას, დამოკიდებულია ხუთწლედის დამამთავრებელი წლის მოსავალი.

სარწყავ მიწებს სამართლიანად უწოდებენ სოფლის მეურნეობის ოქროს ფონდს. ისინი საშუალებას გვაძლევენ ამინდის არახელსაყრელ პირობებშიც კი მოვიწოთ გარანტირებული უხვი მოსავალი. აი რატომ გადავწყვეტეთ, რომ მოურწყველად არ დავტოვოთ არც ერთი ჰექტარი მიწა, სულ 22.507 ჰექტარი მიწა გვაქვს. ენდა მოვიწოთ შემდეგი მოსავ



ოქვენ გადაუფრენთ საქართველოს

ისინი ხვდებოდნენ ლენინს

ხულ ახლახან მოსკოვში, პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოსცა წიგნი „ისინი ხვდებოდნენ ლენინს“ — საბჭოთა შეიარაღებული ძალების ვეტერანების მოგონებათა კრებული. წიგნში მოთავსებულია ჩვენი ქვეყნის სახელგანთქმული მხედართმთავრების პირადი მოგონებები, რომლებიც რევოლუციის გამარჯვების პირველ წლებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ! საბჭოთა შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების საქმეში.

საინტერესო მასალებს და უნიკალურ ფოტოსურათებს გვთავაზობენ მოსკოვის გარნიზონის უფროსი, ყოფილი სამხედრო კომისარი, 1903 წლიდან პარტიის წევრი ა. დ. ბლოხინი, არმიის გენერალი, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი პ. ი. ბატოვი, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი ს. ი. პეტროკოვსკი, გენერალ-ლეიტენანტი ა. ს. გუნდუროვი და სხვები.

წიგნში ჩვენი ყურადღება მიიპყრო პოლკოვნიკ ალექსი შიუკაშვილის მოგონებებმა. ასე მივაკვლიეთ ჩვენს სახელოვან თანამებრძოლს, საბჭოთა ავიაციის ერთ-ერთ პირველ პიონერს და მფრინავს, ავიაკონსტრუქტორ ალექსი ვლადიმერის-ძე შიუკაშვილს.

მოსკოვში თოვს. ქალაქი თეთრად მოირთო და მოიკაზმა. ნელა მივყვებით ძველი პარკის საცალფეხო ბილიკს. ჩემი თანამგზავრი ახალგაზრდული ენერგიით მიაბიჯებს ახლად გაკვალულ თოვლში. სამუალო ტანის, სწორტანა გარეგნობის გრძელულვაშა კაცი, — ასეთია ალექსის პორტრეტი.

— აგერ 80 წელს გადავაბიჯე და მაინც გუშინდელივით მახსოვს ყველაფერი, — ტკბილი ქართულით მესაუბრება ალექსი — დავიბადე თბილისში, აქვე ვსწავლობდი, თავის დროზე გატაცებული ვიყავი მუსიკით, ვისმენდი ზ. ფალიაშვილის ლექციებს, მისული ჭიაურელთან ერთად ვეძებდით გუნდში, 1908 წელს მახათას მთიდან პირველი საცდელი გაფრენა მოვაწყე საკუთარი კონსტრუქციის ბაბუაკის პლანერით. ამ დღიდან ავიაციის გარდა უკვე აღარაფერი მასსოვდა. მიწერმოწერა მქონდა იმ დროისათვის ცნობილ ავიატორებთან — ბლერიოსთან, ფარმანთან, სანტოს-დიუმონთან, ძმებ რაიტებთან.

1913 წელს ჩამოვედი მოსკოვს, აქვე მომისწრო პირველმა მსოფლიო ომმა. ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ვმეგობრობდი ჟუკოვსკისთან, ტუპოლევთან, კოროლიოვთან, ილიუშინთან.

დიდი სამამულო ომის დროს ვმუშაობდი, კლიმენტი ეფრემის-ძე ვოროშილოვის გვერდით, მოსკოვის ოლქის დიდი საავიაციო შენაერთის უფროსად, ბევრჯერ შევხვედრივარ ი. ბ. სტალინს, ომის დროს დიდი გამოყენება ჰქონდა ჩემი კონსტრუქციის ვაკუუმ-დირიჟაბლებს.

ომის დამთავრების შემდეგ კითხულობდი ლექციებს ჟუკოვსკის სახელობის აკადემიაში და მოსკოვის ავიაციის ინსტიტუტში.

დავამთავრე კაპიტალური ნაშრომი: „საბჭოთა კავშირის საჰაერო ფლოტის ისტორია“. ჩემი ოჯახის ხშირი სტუმრები არიან ავიაციის მთავარი მარშალი გოლოვანოვი, მფრინავი-კოსმონავტები. გამახარა თავისი სტუმრობით იური გაგარინმა, რომელიც დიდი ყურადღებით მოეკიდა ჩემი კონსტრუქციის თვითმფრინავის სტრუქტურას და მის ტექნიკურ მონაცემებს.

და მაინც არასოდეს არ დამავიწყდება ის რამდენიმე შეხვედრა, რომელიც ვ. ი. ლენინთან მქონდა. 1913 წლის აპრილში ჩვენ მოვახერხეთ მეფის არმიის თვითმფრინავების დიდი მარაგი გადაგვეცა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკისათვის. მე ავიაციის ინსპექტორ ვ. ი. იუნგმეისტერთან ერთად ვიმყოფებოდი კროპოტკინის ქუჩა № 37 სახლში, სადაც „ნარკომვოენმორის“ ოპერატიული განყოფილება იყო მოთავსებული. უცებ ვიღაცამ ხელი მიბიძგა:

— შეხედე, ლენინი!

ჩემს გვერდით იდგა რევოლუციის ბელადი. მხრებზე თხელი პალტო ჰქონდა მოხურული. მოგუტული თვალებით, ღიმილით გვიცქერდა. მერე გვკითხა:

— თქვენ, ამხანაგებო, ფრონტიდან ხართ?

— დიახ, ამხანაგო ლენინ, — ვუპასუხეთ ჩვენ, — ეს-ეს არის, რაც დასავლეთის ფრონტიდან ჩამოვედით.

— აბა მომიყვეთო, რა ამბავია. — გვითხრა ვლადიმერ ილიას-ძემ,— რას აკეთებდით ფრონტზე, რა მდგომარეობაშია ჩვენი ავიაცია. მხოლოდ მოკლედ და იმაზე, რაც მთავარია.

იმ შორეულ, ქარიშხლიან დღეებში ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას ჰაერივით სჭირდებოდა სამხედრო ტექნიკა და საომარი აღჭურვილობა. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ლენინი სარგებლობდა ყოველი ხელსაყრელი შემთხვევით, რათა გაეგო რა ვითარება იყო ფრონტზე.

ჩვენთან საუბარში ლენინმა დიდი ინტერესი გამოიჩინა ავიაციის საბრძოლო პოტენციალის და მომავალში მისი მნიშვნელოვნად გაზრდის შესახებ. ვლადიმერ ილიას-ძემ მოგვაჯადოვა თავისი უბრალოებით, ადამიანურობით და საოცარი ერუდიციით. ძალიან გაუხარდა, როცა ვუთხარით, რომ რკინიგზელთა აქტიური დახმარებით თავის დროზე გადავისროლეთ ვოლგაზე მეორე ავიაციის პარკი მთელი თავისი მძიმე აღჭურვილობით და ძვირფასი ტექნიკური ნადავლით.

— დამტვრეული თვითმფრინავიც კი არ დაგვტოვებია გერმანელებისათვის! — სიამაყის გრძნობით ვუთხარი.

ვლადიმერ ილიას-ძე გამოცოცხლდა —მეუბნებით, რომ დამტვრეული თვითმფრინავიც არ დაგიტოვებიათ? — ეშმაკურად მოგუტა თვალები, — აბა, მითხარით, სულ რამდენი თვითმფრინავი გაქვთ, რომლებიც აკმაყოფილებს ჩვენს ავიატორებს?

იმ დროისათვის საკმაოდ დიდი რიცხვი დავუსახელე. ბავშვივით გაიხარა. მეკგბრულად მომეთათუნა მხარზე ხელი.

— თქვენ, ქართველი ხომ არა ხართ?

— დიახ, ქართველი ვარ, თბილისელი.

— ბევრი არიან ჩვენს ავიაციაში კავკასიელი მფრინავები?

— ასე ოც კაცამდე ვიქნებით.

— არ მოგენატრათ საქართველო? —თანაგრძნობით მკითხა ვლადიმერ ილიას-ძემ.

— რასაკვირველია, მომენატრა. მაგრამ აქ საინტერესო სამუშაო გაქვს და მინდა რევოლუციას ვემსახურო. ამის გარდა, ახლა საქართველოში ჟორდანიას და რამიშვილის დამკაშები დაბოგინობენ, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლა ყველა ქართველის საქმეა.

— სწორი გადაწყვეტილებაა, — დამეთანხმა ლენინი. — მოვა დრო და თქვენ კიდევ გადაუფრენთ საქართველოს მთებს. გისურვებთ წარმატებებს!

და მაგრად ჩამომართვა ხელი.

ეს დამთავრდა ჩემი საუბარი ლენინთან. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ სულ რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ მექნებოდა ბედნიერება შევხვედროდი ვლადიმერ ილიას-ძეს.

ეს მოხდა 1918 წლის 1 მაისს, მოსკოვის გარნიზონის სადღესასწაულო პარადზე ხოდინსკის ველზე... პარადისთვის გამოყოფილი იყო საუკეთესო სამხედრო ნაწილები. ირგვლივ საზეიმო განწყობილება სუფევდა. ჩემთან მოვიდა საჰაერო პარადის უფროსი, სამხედრო მფრინავი კულეინსკი და მთხოვა შუაღამე მოსკოვის სამხედრო გარნიზონის უფროსისგან ამ ღამე ნებართვა საჰაერო აღლუმის დაწყების შესახებ.

აეროდრომის გვერდით დავინახე საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლები და მათ შორის ვლადიმერ ლენინი. ბევრი ალარ მიფიქრია. მწყობრი ნაბიჯით პირდაპირ ლენინისკენ გავწიე, მივეცი სამხედრო სალამი და აღელვებული ხმით მოვახსენე:

— ამხანაგო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეო! პარადის დაგვიანებით დაწყების გამო გთხოვთ მისცეთ მფრინავებს ნება დაიწყონ თავიანთი პროგრამა.

ვერც მოკასწარი წინადადება დამმთავრებინა, რომ ჰაერში შურდულივით აფეთქნენ ვერცხლისფერი „ნიუპორები“. საჰაერო აღლუმი დაიწყო. სირცხვილის ალმური ამივარდა. აღარ ვიცოდი სადა წავსულიყავი. მერჩიენა მიწა გამსკდომოდა.

ლენინს გაეღიმა, მომიახლოვდა და წყნარი ხმით მითხრა: „დაწყნარდიო, ამხანაგო შიუკაშვილო, რა საჭიროა ასეთი ოფიციალურობა. დღეს მე თქვენი სტუმარი ვარ. გარდა ამისა, როგორც ხედავთ, ავიატორები მშვენივრად დაფრინავენ ჩვენს უნებართვოდ“.

შემატყო, რომ ვდელავდი, მეგობრულად მომხვია ხელი და მითხრა: „ჩემი სახელით მიუღოცეთ საბჭოთა მფრინავებს პირველი მაისის დღესასწაული. გადაეცით, რომ ვიცი და ვაფასებ მათს დიდ ოსტატობას“.

ორი თვის შემდეგ კრემლში გამომძიახეს ერთი საორგანიზაციო საკითხის გადასაწყვეტად. ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩი უნდა მენახა. მიღების მოლოდინში კართან ვიჯექი, უცებ აჩქარებული ნაბიჯების ხმა შემომესმა. დავინახე — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი იყო. მიცნო, გაჩერდა. გამიღიმა და ხელის აწევით მომესალმა.

ეს იყო ჩემი უკანასკნელი შეხვედრა ლენინთან.

მოსკოვში ხვალინდა თოვს. ჩვენ ვდგევართ ძველი პარკის საცალფეხო ბილიკზე... ალექსი შიუკაშვილი სადღაც შორს იყურება, ცას გასცქერის... მერე მითხრა:

— საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, სერგო ორჯონიკიძის პირადი ინიციატივით გამგზავნეს თბილისში, სადაც ამიერკავკასიის ავიაციას ვმეთაურობდი. ასრულდა ვლადიმერ ილიას-ძის სიტყვები, 1918 წლის აპრილში რომ მითხრა, თქვენ კიდევ გადაუფრენთ საქართველოს მთებსო!

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ქ. მოსკოვი.

* * *

სურათზე: ალექსი შიუკაშვილი.

ავტორისეული ნამუშევარი

ცვალებადი უპირატესობით

5. ალექსანდრია [illegible] ... ეს [illegible] ... ოთ-ოთ [illegible] ... ოთ [illegible] ... ოთ [illegible] ...